ლელო

19 დეკემბერი, შაბათი, 1992 წ.
№ 78 (10785) ● ფასი 3 მან.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული თავდაცვის ფონდში

● **რესპუბლიკის** მძლეოსნობის ფედერაციის პრეზიდენტმა თამაზ მდინარაძემ გვაცნობა, რომ ფედერაციამ 50 ათასი მანეთი გადარიცხა თავდაცვის ფონდში, თავად კი პირადი დანაზოგიდან 10 ათასი მანეთი შეიტანა.

● **საქართველოს** ფეხბურთის მოყვარულთა ასოციაციის პრეზიდენტმა ვაჟა კიკნაძემ წარმოგვიდგინა 1000 მანეთის ქვითარი. ეს თანხა მან პირადი დანაზოგიდან გაიღო. ამასთან, ბატონი ვაჟა მოუწოდებს ფეხბურთის გულშემატკივრებს თავიანთი წვლილი შეიტანონ სამშობლოს თავდაცვითი უნარიანობის განმტკიცებაში, რაც სტაბილიზაციისა და ქართული ფეხბურთის მსოფლიო საფეხბურთო სამყაროში აქტიურად ჩართვის აუცილებელი წინაპირობაა.

სარბიელზე: ასპარეზობენ „ქუთაისი“ და „სოხუმი-91“-ის კალათბურთელთა გუნდები (იხ. მე-2 გვ.).

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

ბიბლიოთეკა

„ლელოს“ გადასარჩენად

3000 ჩვენგან...

მოვისმინეთ რა პროგრამა „ალიონში“ ცნობა გაზეთ „ლელოს“ ფინანსური სიძნელეების შესახებ, რის გამო გაზეთს დახურვის საფრთხე ემუქრება, ქართული სპორტისა და გაზეთის გულშემატკივრები ძალიან შევწუხდით. ეს არ უნდა დავუშვათ.

თბილისის ფიზკულტურული და სპორტული ორგანიზაციების დამოუკიდებელი პროფკავშირის გაერთიანებული კომიტეტის პრეზიდიუმმა უმალვე იმსჯელა ამ საკითხზე და გადაწყვიტა გაზეთს ჩაურიცხოს 3.000 მანეთი. ამასთან მოვუწოდებთ სპორტულ ორგანიზაციებს, ვეტერან სპორტსმენებს, რომლებიც ხელმძღვანელობენ სახელმწიფო, სამეურნეო და კომერციულ ორგანიზაციებს, შეძლებისდაგვარად დაეხმარონ საქართველოში ერთ-ერთ მრავალპროფილიან ქართულ სპორტულ გაზეთს, არამც და არამც არ უნდა დავუშვათ არა მხოლოდ სპორტული მუშაკების, არამედ მთელი საქართველოს საყვარელი გაზეთის „ლელოს“ გამოცემის შეწყვეტა. ეს ყველას დიდი სირცხვილი იქნება.

ჩვენი მხრიდან „ლელოს“ კვლავაც გაეწევა დახმარება მომავალში. იმედია გამოგვეხმაურებით.

არჩილ მხეიძე,
თბილისის ფიზკულტურული და სპორტული ორგანიზაციების დამოუკიდებელი პროფკავშირის გაერთიანებული კომიტეტის თავმჯდომარე, საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მუშაკი.

„ლელოს“ დასახმარებლად თანხები შეგიძლიათ გადარიცხოთ გაზეთის დროებით ანგარიშზე: საბურთალოს რაიონის ბინსოცბანკი. ანგარიშსწორების ანგარიში

100609529

„ლელოს“ საშადრაკო დამატება „მერანი“ (მიანიშნეთ „ლელოსთვის“).

...და მაინც, „ეგრისი“

ბოლო, მეშვიდე ტურის შეხვედრებს არსებითი გავლენა არ მოუხდენია ადგილების საბოლოო განაწილებაზე — სენაკის „ეგრისმა“ გათამაშების ცხრილში მორიგი გამარჯვება ჩაიწერა, ანგარიშით 4,5:0,5 დაამარცხა თბილისის მედიკოს-მოჭადრაკეთა ასოციაციის გუნდი „პრემიერი“, საბოლოოდ 28,5 ქულა მოაგროვა და საქართველოს მოჭადრაკეთა პირველ საკლუბო ჩემპიონატში უძლიერესის წოდება მოიპოვა. ამით „ეგრისმა“ მიიღო გაისად ევროპის პირველობაზე თამაშის უფლება. გამარჯვებული კლუბის ღირსებას იცავდნენ (დაფების მიხედვით): ოსტატობის კანდიდატები ალექსანდრე დგებუაძე, რომან სიჭინავა, კახა შალამბერიძე, ოსტატი გოჩა ტყებუჩავა და ოსტატობის კანდიდატი დავით ჩაჩიბაია.

ჩემპიონატში მეორე პოზიცია შეინარჩუნა თბილისის „შევარდენმა“. მან უკანასკნელ ტურში ჭადრაკის სასახლის გუნდს მოუგო 4,5:0,5 და გათამაშება 26,5 ქულით დაამთავრა. „შევარდენმა“ 5 ქულით ჩამოიტოვა მესამე პრიზიორები — ფიზკულტურის ინსტიტუტის სპორტსმენები, რომლებმაც ბოლო დღეს „დინამოს“ აჯობეს — 3,5:1,5.

დაფების მიხედვით სპეციალური პრიზებით დაჯილდოვდნენ: I დაფაზე საუკეთესო შედეგისთვის — ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტის სტუდენტი ა. დგებუაძე („ეგრისი“, აბსოლუტურად საუკეთესო შედეგი — 7 ქულა 7-დან). II დაფაზე I და II ადგილები (6-6 ქულით) გაიყვეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის სტუდენტმა რ. სიჭინავამ („ეგრისი“) და ჭადრაკის სასახლის თანამშრომელმა გიორგი გოგიჩაიშვილმა. III დაფაზე პირველი იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უფროსი ინჟინერ-პროგრამისტი, ფიდეს ოსტატი ვარლამ ვეფხვიშვილი („შევარდენი“) — 5 ქულა 6-დან. IV დაფაზე — ბექა კვარაცხელია (ჭადრაკის სასახლე) — 6 ქულა 7-დან. V დაფაზე — პირველობა გაიყვეს სენაკელმა მწვრთნელმა დავით ჩაჩიბაიამ და „შევარდენის“ გუნდის წევრმა მიხეილ კეკელიძემ (იგი სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტია). 5,5-5,5 ქულა 7-დან.

სურათზე: საკლუბო გუნდების I რესპუბლიკურ ჩემპიონატში გამარჯვებული „ეგრისის“ მოჭადრაკეები.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

საქართველოს ნაკრები — კვიპროსში

როგორც „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნებულ ინტერვიუში, განაცხადა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ნოდარ ახალკაცმა, კვიპროსის ფეხბურთის ფედერაციის მიწვევით საქართველოს ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრები 21 დეკემბერს ერთი კვირით მიემგზავრება ამ ქვეყანაში, სადაც გამართავს 3 ამხანაგურ საერთაშორისო შეხვედრას: **22 დეკემბერს** კვიპროსის ეროვნულ ნაკრებთან, **24 დეკემბერს** — „ოლიმპიაკოსთან“, რომელსაც დავით ყიფიანი ავარჯიშებს, და **27 დეკემბერს** — „ანორთოსისთან“, სადაც მწვრთნელად ვლადიმერ გუცაევი მუშაობს.

ინფორმაცია

პორტუგალიის ფარიკაობის ფედერაციის მიწვევით ლისაბონს გაემგზავრა საქართველოს გუნდი, რომელიც იქ საერთაშორისო ტურნირში იასპარეზებს. ჩვენს სპორტულ დელეგაციაში არიან ქ. მირიანაშვილი, ქ. გიგაური, დ. გოგლიჩიძე გ. თავართქილაძე, ზ. იორდანაშვილი, ჯ. დამიაშვილი, აგრეთვე, რესპუბლიკური ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი მ. სახვაძე და დამსახურებული მწვრთნელი ა. მეიფარიანი.

რა ხდება ქვეყანაზე

● **ოქტომბრის** დამდეგს ჰოკეისტთა ეროვნული ლიგის (ნჰლ) პრეზიდენტად არჩეულმა ჯილ სტეინმა (ადრე, მთელი 15 წლის მანძილზე, იგი ნჰლ-ის ვიცე-პრეზიდენტი იყო) თავისი საქმიანობის მთავარ ამოცანად დაისახა ამერიკის შეერთებული შტატების სატელევიზიო ბაზარზე გასვლა. როგორც მიმომხილველები ამბობენ, მოლაპარაკებები ეი-ბი-სის წარმომადგენლებთან წარმატებით დამთავრდა და უახლოეს ხანს გაფორმდება კონტრაქტი, რომლის პირობებს ჯერჯერობით საიდუმლოდ ინახავენ. ამას გარდა, სტეინს გადაწყვეტილი აქვს მოაწესრიგოს კოლექტიური ხელშეკრულების საქმე ჰოკეისტებთან.

● **როგორც** გაზეთი „სანდი დეილი“ იუწყება, ბარსელონაში ოლიმპიადაზე გამარჯვებულ ჩინელ სპორტსმენებს საკმაო პრობლემები შეექმნათ შინ დაბრუნების შემდეგ. საქმე ის გახლავთ, რომ, ფაქტობრივად, არც ერთ ჩემპიონს არ მიუღია სრულად ის პრემიები, რომლებსაც პირდებოდნენ სახელმწიფო ორგანიზაციები; კერძო კომპანიები და პირები. ასე მაგალითად: მაგიდის ჩოგბურთელთა ტურნირში გამარჯვებულ დენ იაპინს, რომელსაც 210 ათას დოლარს პირდებოდნენ, ჯერჯერობით მიღებული აქვს 5 ათასი და ოქროს ბეჭედი. ეს კიდევ არაფერი, ოლიმპიურ ჩემპიონს 9 ათასი დოლარის სესხება მოუხდა, რათა გადაეხადა სახალხო განათლების ორგანოებისთვის დაპირებული საქველმოქმედო თანხა.

ქველმოქმედება

ფულადი ჯილდოები ვეტერანებს

რესპუბლიკის ფიზკულტურულ-სპორტულ კლუბ „დინამოს“ თაოსნობით და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, უშუალოდ ახლადდანიშნული მინისტრის თეიმურაზ ხაჩიშვილის მხარდაჭერით კიდევ ერთი ქველი საქმე გაკეთდა — „დინამოს“ ოსტატთა კლუბის დარბაზში შეხვდნენ და ფულადი ჯილდოები გადასცეს სახელოვან ვეტერან დინამოელებს. ჩვენის მხრივ უშუალოდ მათი გვარების ჩამოთვლა მკითხველს ერთხელ კიდევ დააბრუნებდა წარსულში, როცა მათ არაერთი სიხარულის მომგვრელი წუთები გვაჩუქეს — ელენე გოკიელი, ოთარ ქორქია, ნოდარ ჯორჯიკია, ზაურ კალოევი, მედეა ჯუღელი, გრიგოლ გაგუა, რაფაელ ჩიმიშკიანი...

ამ დღეს ღონისძიებაზე, რომელსაც რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელები — მინისტრის მოადგილე ჯემალ გორგიაშვილი, საფინანსო ეკონომიკური სამმართველოს უფროსი ჯემალ ბადაგაძე, პოლიციის ფონდის პრეზიდენტი თორნიკე ფიფია და ფიზკულტურულ სპორტულ კლუბ „დინამოს“ თავმჯდომარის პირველი მოადგილე ვლადიმერ ისელიძე ესწრებოდნენ, მიიღეს გადაწყვეტილება ამგვარი დახმარება გაუწიონ დაღუპულ სპორტსმენთა ოჯახებს, აგრეთვე სპორტსმენებს, რომლებსაც მატერიალურად უჭირთ.

ჩვენი სპორტსმენების მიმართ ანალოგიური ქველმოქმედების პრინციპი ტრადიციული იქნება — გვითხრა ფიზკულტურულ სპორტული კლუბის „დინამოს“ თავმჯდომარის მოადგილემ რევაზ მაჭავარიანმა — მათ ყოველწლიურად შეძლებისდაგვარად დავეხმარებით. დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ბატონ თორნიკე ფიფიას, რომელიც ფინანსურად მხარში ამოგვიდგა და მომავალშიც ერთად ვითანამშრომლებთ.

რამინ ჟურაშვილი

საქართველოს დინამოელ ვეტერან სპორტსმენთა ძველი გვარდია.

კონსტანტინე შანიძის ფოტო.

ეროვნული

გახსენით კარები!

მიბაძეთ 186-ე, 187-ე და 153-ე სკოლებს!

მოზარდების საცხოვრებელ ადგილებში სპორტულ სექციებში გაერთიანება ქუჩის გავლენისაგან მათი ჩამოშორების გარანტიაა

მოზარდ თაობას შორის სკოლისგარეშე სპორტული საქმიანობა ისე მივუშვით თვითდინებაზე, თითქოს წარსულის ბევრ სიმახინჯესთან ერთად ამ უაღრესად საყურადღებო საკითხის დღის წესრიგიდან მოხსნაც აუცილებელი იყო. არა, სპორტულ სკოლებს არ ვგულისხმობთ. მოზარდების მიზიდვა უშუალოდ საცხოვრებელ ადგილებში სპორტულ და გამაჯანსაღებელ სექციებში დღეს უფრო აუცილებელია, ვიდრე ოდესმე იყო მაგრამ, ვინ გაუძღვება ამ საქმეს, როცა სახლმმართველობებთან პირწმინდად გაუქმდა პედაგოგ-ორგანიზატორებისა და ფიზკულტური მეთოდისტების შტატები? თუ ისინი ცუდად მუშაობდნენ, ცხადია, საკითხი სხვაგვარად და არა ასე რადიკალურად უნდა გადაწყვეტილიყო. კიდევ კარგი, ჯერ არავის გაუუქმებია (იმედია არც გაუქმდება) რესპუბლიკის განათლების სამინისტროს ძველი ბრძანება, რომელიც ნებას რთავს სკოლებს სასწავლო პროცესიდან თავისუფალ დროს სპორტული დარბაზები და მოედნები დაუთმონ მოზარდთა ორგანიზებულ სპორტულ და გამაჯანსაღებელ ჯგუფებს, საერთოდ, მოსახლეობას. სათაურში გამოტანილი სკოლების ხელმძღვანელები პირნათლად ასრულებენ სამინისტროს ბრძანებას. ამ სკოლებში უკვე მუშაობენ სხვადასხვა ჯგუფები. ინიციატივა თავის თავზე აიღო მოსახლეობის ფიზიკური გაჯანსაღების სრულიად საქართველოს ასოციაციამ, რომელიც მუშაობას თავისი სპორტულ-გამაჯანსაღებელი კლუბების მეშვეობით წარმართავს. მოზარდთა სპორტული ჯგუფების სასკოლო დარბაზებში მეცადინეობის წინადადებას გაგებით მოეკიდნენ სკოლის დირექტორები თ. გამსახურდია (186-ე სკოლა), გ. ზენაიშვილი (187-ე სკოლა), გ. ანჯაფარიძე (153-ე სკოლა), კლუბთან ხელშეკრულების საფუძველზე ამ სკოლებში უკვე 200-ზე მეტი მოზარდი მეცადინეობს სისტემატურად. ასეთივე ხელშეკრულება ფორმდება 127-ე სკოლასთან.

ასოციაციას და მის კლუბებს ორგანიზაციული საკითხების გადაჭრაში პრაქტიკულ დახმარებას უწევს განათლების სამინისტროსა და თბილისის განათლების სამმართველოს შესაბამისი განყოფილებების ხელმძღვანელობა.

შევისვენოთ თებერვლამდე

საქართველოს კალათბურთელ ვაჟთა ჩემპიონატში „არდადეგები გამოცხადდა“ — დასრულდა მეორე წრე. უკვე გაუწყეთ, რომ ერთ-ერთ (და არა მარტო ამ) თამაშზე მომხდარი ინციდენტის გამო პირველი წრის შემდეგ მოეწყო საქართველოს სპორტკომიტეტისა და კალათბურთის ფედერაციის ხელმძღვანელთა შეხვედრა ჩემპიონატში მონაწილე გუნდებთან. ვიმედოვნებდით, მსგავსი შემთხვევები აღარ განმეორდებოდა, მაგრამ... მოთამაშეებზე რომ აღარაფერი ვთქვათ, აგერ რუსთაველთა მწვრთნელსაც დაატოვებინეს მოედანი! ეს იმაზე მეტყველებს, რომ წესრიგი კვლავაც რჩება აქტუალურ თემად და საერთო ზრუნვის საგნად.

მეორე წრის ერთ-ერთ მოულოდნელობად უნდა ჩაითვალოს ქუთაისელთა მარცხი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან. ჩემპიონატი „რიონმა“ კარგად დაიწყო და ლამაზადაც თამაშობდა, რასაც ვერ ვიტყოდით უნივერსიტეტელებზე, რომლებიც ყველა შეხვედრაში დამარცხდნენ. ამჯერად კი გამარჯვება სტუდენტებს დარჩათ. უნივერსიტეტელებმა შემდგომ სამტრედიელებიც დაამარცხეს და ერთი საფეხურით წინ წაიწიეს, თავად სამტრედიელებმა, ყველასთვის მოულოდნელად სძლიეს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის — საქართველოს წყლების სახლის გუნდს და „რიონს“, რითაც მეტად საჭირო ქულები შეიმატეს. დინამოელებმა ყველა მატჩი მოიგეს და განიმტკიცეს ლიდერის პოზიცია, თუმცა მეორე ადგილზე მყოფი „ვითა“ მხოლოდ ერთხელ დამარცხდა და ერთი თამაშიც თადარიგში აქვს.

მოლოდინისამებრ, ერთობ დაძაბული გამოდგა „მერანისა“ და „ვითას“ შეხვედრა, რომელშიც სტუდენტებმა იმარჯვეს, სამწუხაროდ, ამ საინტერესო შეხვედრასაც ახლდა უსიამოვნო „აკომპანიმენტი“ — მსაჯებთან კამათი. უდავოდ იმსახურებს აღნიშვნას „მართვე“ — მისი ჭაბუკი მოთამაშეები არაფრით ჩამოუვარდებიან უფროსებს და აკი სატურნირო ცხრილში მეექვსე ადგილზეც არიან.

საქართველოს ჩემპიონატი თებერვლის მეორე ნახევარში განახლდება.

სოსო მაზმიშვილი

III ქვეჯგუფის ბოლო შეხვედრები: „ვითა“ — „სოხუმი-91“ 103:77, „შევარდენი“ — „მართვე“ 82:76.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა II წრის შემდეგ

	თ.	მ.	წ.	ქ.
„დინამო“	15	13	2	28
„ვითა“	14	13	1	27
„მერანი“	14	12	2	26
„აზოტი“ (რუსთავი)	15	9	6	24
სტუ-სწს	15	7	8	22
„მართვე“	14	7	7	21
„შევარდენი“	14	7	7	21
„რიონი“ (ქუთაისი)	15	5	10	20
სამტრედია	15	4	11	19
თსუ	15	2	13	17
„სოხუმი-91“	14	1	13	15

ველოსიპედისტთა რეკორდები

ციურიხი. ველოსიპედისტთა საერთაშორისო კავშირმა გამოაქვეყნა წლეულს დამყარებულ იმ რეკორდთა სია, რომლებიც უკვე დამტკიცდა:

დახურული ტრეკი. ქალები. გამოდევნებით რბოლა 3 კმ. ჟანი ლონგო (საფრანგეთი) — 3.41,061. 25 მაისი, ბორდო; გიტი 1000 მ ადგილიდან. მაგალი უმბერი (საფრანგეთი) — 1.11,503. 23 მაისი, ბორდო; გიტი 200 მ სვლით. გალინა ენიუხინა (რუსეთი) — 11,101. 4 ივლისი, მოსკოვი; **ღია ტრეკი. ვაჟები.** გამოდევნებით გუნდური რბოლა 4 კმ. ავსტრალია (აიტკენი, მაკგლედი, ‚ ობრაიენი, ოგრედი) — 4.10, 438. 30 ივლისი, ბარსელონა; გერმანია (გლეჰნერი, ლემანი, შტაინვეგი, ფიულსტი) — 4.08,791. 31 ივლისი, ბარსელონა; გამოდევნებით რბოლა 5 კმ. კრისტოფერ ბორდმენი (დიდი ბრიტანეთი) — 5.38,083. 22 აგვისტო, ლესტერი.

რა ხდება ქვეყანაზე

● **პარიზში** საავტომობილო სპორტის საერთაშორისო ფედერაციის კონგრესზე ამ ორგანიზაციის პრეზიდენტად ხელახლა იქნა არჩეული ინგლისელი მაქს მოსლი. იგი ამ პოსტზე დაჰყოფს 1996 წლამდე. ფედერაციის წარმომადგენელმა ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, რომ მომავალ წელს მსოფლიო ჩემპიონატი სპორტპროტოტიპებში არ ჩატარდება მონაწილეთა სიმცირის გამო.

● **მიუხედავად** იმისა, რომ უიმბლდონის ტურნირი ჩოგბურთელთა ერთ-ერთ ყველაზე რენტაბელურ შეჯიბრებად ითვლება, ვერც მან გაუძლო ბილეთების ნაწილობრივ გაძვირების ცდუნებას. როგორც ცნობილი გახდა, ცენტრალურ კორტზე მოხვედრა ტურნირის გახსნის დღეს ამიერიდან ეღირება არა 17, არამედ 18 გირვანქა სტერლინგი, ფინალურ მატჩზე დასწრება კი 48 გირვანქა (46-ის ნაცვლად).

● **არ არის** გამორიცხული, რომ გაისად ცხენოსანთა შეჯიბრებებზე ამუშავდეს ტელეტოტალიზატორი, რაც იმას ნიშნავს, რომ იპოდრომზე წაუსვლელად შეიძლება კაცმა მოიგოს (ან წააგოს) დიდძალი თანხა. ამისთვის საჭიროა ჩართოთ კალიფორნიის კომპანიის ნტნ-ის ტელეარხი, აირჩიოთ თქვენთვის სასურველი ცხენი და შემდეგ ტელეფონით აუხსნათ შესაბამის სამსახურს თქვენი პირობები. სულ ეს პროცედურა მოყვარულს 45 დოლარი დაუჯდება (რა თქმა უნდა, სათამაშო თანხის გარდა).

● **ოლიმპიური** თამაშების დამთავრების შემდეგ ბარსელონის ერთ-ერთმა გაზეთმა გამოაქვეყნა იმ ნივთების სია, რომლებიც დარჩათ თამაშების მონაწილეებს ოლიმპიურ სოფელში. უამრავ ჩვეულებრივ, არაფრით საინტერესო ნივთს შორის ამ სიაში მოხსენებულია: სამი შალის მოსასხამი (გასაკვირია, ვის დასჭირდა ისინი 40-გრადუსიან სიცხეში), ჩეკი 40 ათას დოლარზე, რვა სერტიფიკატი, რომელიც ადასტურებს, რომ ამ საბუთის წარმდგენი ქალი გახლავთ, ბრინჯის სახარში ავრეგატი და მშვილდისრის ორი კომპლექტი.

● **საფრანგეთის** ქალაქ ნანსში დასრულდა ხმლით მოფარიკავეთა მსოფლიო თასის მორიგი ეტაპი. უნგრელმა ოლიმპიურმა ჩემპიონმა ბენცე საბომ გადამწყვეტი ბრძოლა მოუგო გუნდურ ჩათვლაში ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორს ფრანგ ფრანკ დიუმეს.

• • •

ორი რეკორდი

ორი შესწორება შეიტანეს მსოფლიო რეკორდების ცხრილში სამხრეთ კორეისა და ჩინეთის შორტ-ტრეკის ოსტატებმა. ვაჟების ესტაფეტაში 5000 მეტრზე კორეელთა კვარტეტმა 7.11,57 აჩვენა. ქალების ესტაფეტაში (3000 მ) ჩინელებმა თავიანთ შარშანდელ მიღწევას (4.32,4) „ჩამოაჭრეს“ — 1,09 წამი.

რა ხდება ქვეყანაზე

გამოხმაურება ქართველი მეცნიერის წერილზე

პროფესორ ვასილ ელაშვილის სახელი კარგადაა ცნობილი არა მარტო ჩვენს რესპუბლიკაში. რამდენიმე ათეული წელია იგი ენერგიულად, საკითხებისადმი მაღალპროფესიული მიდგომით სწავლობს და ამუშავებს ფიზკულტურისა და სპორტის საპრობლემო საკითხებს, სწავლობს მის როლს თანამედროვე საზოგადოებაში. განსაკუთრებით აღსანიშნავია ვ. ელაშვილის გამოკვლევები ხალხური თამაშებისა და სპორტის ეროვნული სახეობების ტრადიციების მნიშვნელობაზე, რასაც მან არაერთი მონოგრაფია მიუძღვნა. მეცნიერის დიდი შრომაა გაწეული ჩვენი ეროვნული საუნჯის უცხოეთში გასაცნობად და ეროვნული სპორტის სახეობების საერთაშორისო სარბიელზე გატანისათვის. ამასთან დაკავშირებით ვ. ელაშვილმა ორჯერ მიმართა საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს. ბოლო წერილი ეხებოდა ჰოკეით სიგრძეზე ხტომის ოლიმპიურ პროგრამაში შეტანის პერსპექტივას, რასაც ყურადღებით მოეკიდა სოკი და მისი პრეზიდენტი ბატონი ხუან ანტონიო სამარანჩი. აქვე გთავაზობთ სამარანჩის პასუხს, რომელიც პროფესორ ვასილ ელაშვილს გამოუგზავნა.

ძვირფასო პროფესორო!

მადლობა წერილისათვის, რომელიც დიდი ინტერესით წავიკითხე. მოხიბლული დავრჩი თქვენი მოსაზრებებით სპორტის ეროვნულ სახეობებზე.

მართლაც, ჭეშმარიტი ეროვნული სახეობები ვითარდება, გადის ლოკალური საზღვრებიდან და ოლიმპიური თამაშების პროგრამაში იმკვიდრებენ ადგილს — ჰოკეი, კალათბურთი, ძიუდო. სამოყვარულო მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციამ ჰოკით სიგრძეზე ხტომა პირველად განიხილა, როგორც სპორტის სახეობა.

ფედერაციას უფლება აქვს სთხოვოს საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს იმსჯელოს ამ ეროვნული სახეობის სოკის პროგრამაში შეტანის საკითხზე. მაგრამ უნდა გითხრათ, რომ დიდი დრო დასჭირდება, ვიდრე ჰოკით ხტომა გავა ფართო ასპარეზზე და მოიპოვებს პოპულარობას.

დღეს ტენდენცია ისეთი გახლავთ, რომ ოლიმპიადებზე საერთოდ შემცირდეს სპორტის სახეობები. მიუხედავად ამისა, სოკი დიდ დაინტერესებას იჩენს ისეთი ინფორმაციის მიმართ, როგორიც თქვენ გამოუგზავნეთ.

ხუან ანტონიო სამარანჩი

ლოზანა, 1992 წელი, ნოემბერი.

ცნობა ესპანეთიდან

ევროპის გუნდური ჩემპიონატის დამთავრებისთანავე საქართველოს დიდოსტატი — ქეთევან კახიანი მიწვევით პირდაპირ გაემგზავრა ესპანეთის ქალაქ ოვიედოში, სადაც გუშინწინ დამთავრდა სწრაფ ჭადრაკში დიდი საერთაშორისო ტურნირი. ასპარეზობა შვეიცარიული სისტემით 11 ტურად მოეწყო. ამ შეჯიბრებაში გამოდიოდნენ, აგრეთვე, ზურაბ აზმაიფარაშვილი, იგორ ეფიმოვი, ელიზბარ უბილავა და აკაკი იაშვილი. I ადგილი გავრიკოვმა (რსფსრ) დაიკავა, მაგრამ ცუდად არც ჩვენები გამოსულან — პრიზები დაიმსახურეს უბილავამ და ეფიმოვმა, თუ რისთვის, ჯერ ვერ შევიტყვეთ. კახიანმა და აზმაიფარაშვილმა 7-7 ქულა მოაგროვეს, მაგრამ არ მოსულა ცნობა, რომელ ადგილს შეესაბამება ეს შედეგები.

საგზურებისთვის...

გადამწყვეტი შეხვედრების დღეც დადგა — ოთხშაბათს თბილისის მოსწავლე-ახალგაზრდობის მხატვრული აღზრდის სასახლეში დაიწყო რესპუბლიკის მოსწავლეთა ჩემპიონატის ფინალური ასპარეზობა, რომელმაც ამავე დროს უნდა დაასახელოს ჭადრაკში მსოფლიოსა და ევროპის საგაისო ჩემპიონატების მონაწილენი 4 ასაკობრივ ჯგუფში. დაფებს მიუსხდნენ ისინი, რომლებმაც ადრე შესარჩევ ტურნირებში გამოიჩინეს თავი. მონაწილეთა შორის არიან ფიდეს ოსტატები, ოსტატობის კანდიდატები, ნიჭიერი მოზარდები — ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატების გამარჯვებულნი და პრიზიორები.

ორი დღის მერე დაწინაურდნენ: 10-წლიან გოგონებს შორის — ქუთაისელი ინგა ქარხალაშვილი და თბილისელი თამარ ჩანადირი — თითოეულს 1,5 ქულა. ასეთივე შედეგები აქვთ ამ ასაკის ბიჭებში ზუგდიდელ ვალერი გვათუასა და თბილისელ ნიკო. მავთვალაძეს. 12-წლიანებში უდანაკარგოდ მიდიან თბილისელები თინა ყველიაშვილი და ნინო მაისურაძე, ქუთაისელი ალექსანდრე ქასრაშვილი. 14-წლიანებში 2 ქულით ლიდერია სოფიკო ტყეშელაშვილი (ქუთაისი), ბიჭებში მდგომარეობა ჯერჯერობით გაურკვეველია. 16-წლიანთა შორის ასევე უდანაკარგოდ გამოდიან სოფიკოს თანაგუნდელები. მაია ლომინეიშვილი და ნათია აფხაიძე. ამ ასაკის ბიჭებში დაწინაურდნენ რუსთაველი თამაზ გელაშვილი, თბილისელი სერგო მოვსესიანი და ბათუმელი ედგარ საროიანი — 1,5-1,5 ქულა.

● ოლიმპიური სალაღობო ● ოლიმპიური სალაღობო ● ოლიმპიური სად

მკითხველს, ალბათ, დააინტერესებს ის სალაღობო ამბები, რომლებიც დაკავშირებულია ოლიმპიურ თამაშებთან, ზოგიერთი მათგანი; მართლაც, საანეკდოტოა.

ძროხა მთლიანად მიირთვა

ისტორიას ძველთაგან შემორჩა ერთი ასეთი თქმულება: ჭიდაობაში შვიდგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა ბერძენმა მილონმა (540-516 წლებში ჩვენს წელთაღრიცხვამდე) თავისი საარაკო ღონისა და სიძლიერის დასადასტურებლად ერთხელ ჯოგიდან აირჩია მსუქანი ძროხა, დაკლა, გაატყავა, კოცონი გააჩაღა, კარგად შებრაწა და მარტოდმარტომ მთლიანად მიირთვა. ვინ იცის, იქნებ მილონის ეს საქციელი ოლიმპიურ ჩემპიონობაზე ნაკლები არ არის.

ოლიმპიური გვირგვინი

ოლიმპიადების გამარჯვებულებს, როგორც მოგეხსენებათ, აჯილდოებენ ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლებით. მაგრამ ასეთი დაჯილდოება ხდება მხოლოდ ბარონ პიერ კუბერტენის მიერ აღორძინებული თამაშების შემდეგ, რაც შეეხება ძველი დროის ოლიმპიადებს, მედლები მაშინ არ იყო, ოლიმპიურ გმირებს აჯილდოებდნენ ზეთისხილის რტოებიდან დაწნული გვირგვინებით.

მედალი ფულის საზღაურად

სპონსორობა ახლა მტკიცედ დამკვიდრდა საერთაშორისო სპორტში საერთოდ და ოლიმპიურ თამაშებზე — კერძოდ.

სამხრეთამერიკელ სპრინტერ მძლეოსანს რეგი უოკერ რეჯინალდს 1908 წლის ლონდონის ოლიმპიურ თამაშებზე ფული არ ჰქონდა სამგზავრო ბილეთის შესაძენად. მდიდარმა გულშემატკივრებმა სპრინტერს უყიდეს ბილეთი ლონდონამდე, უოკერმა კი სპონსორებს ამაგი 100 მეტრზე რბენაში მოპოვებული ოქროს მედლით გაუნაღდა.

ტრავმები, ტრავმები და... ოქროს მედალი

1984 წლის ლოს-ანჯელესის ოლიმპიადაზე მრავალი ფათერაკი თან სდევდა კანადელ მოცურავე ქალს ენ ოტენბრაიტს: მან ჯერ იყო და ორჯერ გაიჭრა ფეხი, შემდეგ მუხლი იღრძო, უკვე შეჯიბრების დროს კისერი იტკინა, მერე კი ბარძაყის კუნთი დაეჭიმა.

ყველაფერ ამის მიუხედავად ენ ოტენბრაიტმა თავისი ფათერაკები იმით დაამთავრა, რომ ოლიმპიური ოქროს მედალი მოიპოვა 200 მეტრ დისტანციაზე ბრასის სტილით ცურვაში.

მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში

განვლილ ოთხშაბათს გაიმართა 1994 წლის მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატის შესარჩევი შეხვედრები.

II ჯგუფი

სტამბოლში ერთმანეთს შეხვდნენ თურქეთისა და ჰოლანდიის გუნდები. თამაშის პირველი ნახევარი უშედეგოდ დამთავრდა. შესვენების შემდეგ ჰოლანდიელებმა ვან ფოსენმა და გულიტმა ზედიზედ 2 ბურთი გაიტანეს მასპინძელთა კარში. ეს მოხდა 57-ე და 59-ე წუთებზე. თურქებმა მაშინვე, მე-60 წუთზე შეძლეს ერთი ბურთის გაქვითვა (ფეიაზი), მაგრამ ვან ფოსენმა მატჩის დასასრულს კვლავ ისახელა თავი — 3:1.

სატურნირო ცხრილი:

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
ნორვეგია	4	3	1	0	15—2	7
ინგლისი	2	1	1	0	5—1	3
ჰოლანდია	3	1	1	1	6—5	3
პოლონეთი	2	1	1	0	3—2	3
თურქეთი	4	1	0	3	5—9	2
სან-მარინო	3	0	0	3	1—16	0

III ჯგუფი

ესპანეთის ნაკრებმა სევილიაში მიიღო ლატვიის გუნდი და დიდი ანგარიშით გაიმარჯვა — 5:0, ამასთან, ყველა ბურთი გაიტანა შესვენების შემდეგ. გოლები: ხოსე ბაკერო (49 წ.), ჰოსეპ გუარდიოლა (51), ალფონსო პერესი (79) და აიტორ ბეგირისტაინი (81, 82).

ესპანეთი	5	2	3	0	8—0	7
ირლანდია	4	2	2	0	6—0	6
დანია	4	1	3	0	1—0	5
ლიტვა	5	1	3	1	5—5	5
ჩრ. ირლანდია	4	1	2	1	5—3	4
ლატვია	7	0	4	3	3—13	4
ალბანეთი	5	1	1	3	2—9	3

◆ ◆ ◆ ◆ ◆

უეფას თასზე

გამოვლინდა უეფას თასის გათამაშების მეოთხედფინალის მონაწილე კიდევ ორი გუნდი.

იტალიის ქალაქ ტურინის „იუვენტუსს“ მერვედფინალის პირველი შეხვედრა ჩეხეთ-სლოვაკეთის ქალაქ ოლომოუცის „სიგმასთან“ მოგებული ჰქონდა ანგარიშით 2:1. საპასუხო მატჩში ტურინელებმა დიდი უპირატესობით ითამაშეს, კვლავ გაიმარჯვეს — 5:0 და გათამაშების შემდეგ ეტაპზე გავიდნენ.

მეოთხედფინალში გავიდა აგრეთვე მადრიდის „რეალი“, რომელმაც ორი შეხვედრის ჯამში აჯობა ჰოლანდიის „ვიტესს“. ესპანელებმა ორივე ტურში ერთნაირი ანგარიშით დაამარცხეს მეტოქე — 1:0.

ამრიგად, უეფას თასის მეოთხედფინალში, რომლის შეხვედრები გაიმართება 1993 წლის 3 მარტს, ერთმანეთს ხვდებიან:

„ოსერი“ (საფრანგეთი) — „აიაქსი“ (ჰოლანდია);
„რეალი“ (მადრიდი, ესპანეთი) — „პარი სენ-ჟერმენი“ (საფრანგეთი)
„რომა“ (იტალია) — „ბორუსია“ (გერმანია)
„იუვენტუსი“ (იტალია) — „ბენფიკა“ (პორტუგალია).

◆ ◆ ◆ ◆ ◆

გაძნელდა გოლის გატანა

ფეხბურთელთა 1992 წლის ევროპის ჩემპიონატში გამარჯვებულ დანიის ნაკრებს ამ ტურნირების ისტორიაში ყველაზე დაბალი შედეგიანობა ჰქონდა — ყოველ მატჩში საშუალოდ 1,20 გოლი. ევროპის სხვა ჩემპიონატებში გამარჯვებული გუნდების საშუალო მაჩვენებელი კი ასე გამოიყურება: 1960 წელი. სსრ კავშირი — 2,25; 1964. ესპანეთი — 2,16; 1968. იტალია — 1,40; 1972. ფედერაციული გერმანია — 2,00; 1976. ჩეხოსლოვაკია — 2,25; 1980. ფედერაციული გერმანია — 1,50; 1984. საფრანგეთი — 2,80; 1992. დანია — 1,20.

დაუვიწყარი სახელები

ეს დაუოკებელი პუშკაში

რა არ უწოდეს მას საბჭოთა პრესაში? „რენეგატი“, „მოღალატე“, „კონტრევოლუციონერი“. ყველაზე სავალალო და კურიოზული კი მაინც ინგლისის ფეხბურთის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი ფეხბურთის სამშობლოს ნაკრებისა და მსოფლიოს ნაკრების ანუ, ეგრეთ წოდებული, ფიფას ნაკრების ტელერეპორტაჟი იყო. მიიღებდა თუ არა ბურთს პუშკაში, ლონდონის „უემბლის“ სახელგანთქმულ სტადიონზე საკომენტატორო ჯიხურიდან არანაკლებ სახელგანთქმული ტელერადიოკომენტატორი ნიკოლაი ოზეროვი (ამ დღეებში „დრუჟბა ნაროდოვის“ ორდენი რომ მიიღო თვით ბორის ელცინისაგან) უმალვე წარმოთქვამდა: „ატაკუეტ სბორნაია ფიფა“.

ამ სიტყვებში იგულისხმებოდა მსოფლიო ნაკრების მე-10 ნომერი, ტყავის ბურთის დიდებული ოსტატი, ერთ დროს უნგრეთის „დიდი გუნდის“ სახელმოხვეჭილი კაპიტანი, მარცხენა გარემარბი ფერენც პუშკაში. იმ დღეს (1963 წლის 23 ოქტომბერს) ნ. ოზეროვი საკმაოდ ხშირად იმეორებდა — „ატაკუეტ სბორნაია ფიფა“. ამ ფირს იმხანად ხშირ-ხშირად უჩვენებდნენ საბჭოთა ტელევიზიით, რადგან „საუკუნის მატჩში“ გამოდიოდა „მეკარეთა მეკარე“ ლევ იაშინი. მან პირველი ტაიმი ითამაშა და შესვენების შემდეგ კარი დაუთმო იუგოსლაველ შოშკიჩს. ალბათ, ჩვენს ტელეეკრანზე როდესმე კვლავ ვიხილავთ ტყავის ბურთის დიდოსტატთა ამ საინტერესო პაექრობას და ვისაც იგი თავის დროზე არ უნახავს, თავად დარწმუნდება მოკრძალებული ტანის, ჩასკვნილი, კუნთმაგარი ფეხბურთელის — „ატაკუეტ სბორნაია ფიფას“ მეტად ენერგიულ და მწვავე თამაშში. კიდევ კარგი, რომ პუშკაშმა ამ დღეს არ გაიტანა ბურთი, თორემ ვის დაასახელებდა „ობიექტური მიკროფონი“ გოლის ავტორად? საწყენი იყო ისიც, რომ იმ დღეებში მერჟანოვისეულ ყოველკვირეულ „ფუტბოლშიც“ არ იყო პუშკაშის ხსენება — მსოფლიოს ნაკრების შემადგენლობაში 16 მოთამაშის ნაცვლად... 15 გვარი ეწერა (ფეხბურთის ახალგაზრდა მოყვარულებს შეუძლიათ იხილონ თავიანთი უფროსი კოლეგების წიგნის თაროებზე „ფუტბოლის“ ძველი, 1963 წლის ნომრები).

მაინც რა იყო ამ კაცის დანაშაული — ფეხბურთელისა, რომელსაც მსოფლიოს ნებისმიერი გუნდი მიიღებდა თავის შემადგენლობაში? ალბათ ის, რომ იგი სულით და გულით უნგრელი იყო, სამშობლოზე უსაზღვროდ შეყვარებული პატრიოტი, რომელსაც არ უნდოდა თავის მიწა-წყალზე საბჭოთა ჯარისკაცის ჩექმის ნატერფალისა და სხვათა ტანკების ხილვა.

...იმ ყველაფრით ღირსსახსოვარი მატჩის წელს, რომელშიც ფიფას ნაკრებმა იმარჯვა — 2:1 — ფერენც პუშკაში 36 წლისა გახლდათ, ფეხბურთის თამაში სწორედ წინა სეზონში დაამთავრა. აი ზუსტად 18 წლის წინ კი — 1945 წლის 20 აგვისტოს უნგრეთისა და ავსტრიის ნაკრებთა მატჩში (5:2) ქვეყნის მთავარ გუნდში პუშკაშის პირველი გამოსვლისას მოხდა მისი ფაქტიური აღიარება დიდ ფეხბურთში. დიდებულადაც ითამაშა და ერთი ბურთიც გაიტანა. პუშკაში მაშინ 18 წლისა იყო. ფერენცმა ანუ ოქსიმ, როგორც მას მეგობრები სიყვარულით უწოდებდნენ, თანაგუნდელებთან ერთად დაიწყო ოცნება ჭეშმარიტად ძლიერი ეროვნული გუნდის შექმნაზე, თამაშის საკუთარ სტილზე და ხელწერაზე, რომელიც მიესადაგებოდა უნგრელთა პოტენციას — სისწრაფეს, აქტიურ მოძრაობას, მოულოდნელობას, იმპროვიზაციას. ევროპის ჩემპიონატზე იტალიელ, ჩეხოსლოვაკიელ და ბულგარელ ფეხბურთელებთან წარუმატებლობის შემდეგ საბოლოოდ თვალსაჩინო გახდა, რომ ძველი მარაგით შორს ვერ წავიდოდნენ. დაიწყო ენერგიული წვრთნა, გამიზნული სელექცია, რამაც ბოლოსდაბოლოს 50-იან წლებში უნგრეთის „დიდი გუნდის“ დაბადებამდე მიგვიყვანა. მისი სული და გული იყვნენ მეკარე დიულა გროშიჩი, ნახევარმცველი იოჟეფ ბოჟიკი, თავდამსხმელები შანდორ კოჩიში, ნანდორ ჰიდეგკუტი და, რა თქმა უნდა, ფერენც პუშკაში — ბუდაპეშტის „ჰონვედის“ წამყვანი მოთამაშე და მთავარი გოლეადორი. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ მას შემდეგ რაც პუშკაშმა ფეხი აიდგა ბუდაპეშტის გარეუბნის გუნდში „კიშპეშტში“ (აქ იგი იოჟეფ ბოჟიკთან თამაშობდა), მერე კი „ჰონვედის“ მაისური ჩაიცვა, აღარ უღალატნია ამ გუნდისათვის, თუ მხედველობაში არ მივიღებთ მის ფაქტიურ გაძევებას „სოციალისტური უნგრეთიდან“ და იძულებით გადასვლას ესპანეთის „რეალ-მადრიდში“, მაგრამ ეს 1956 წელს მოხდა, უნგრეთის მიწა-წყალზე ცნობილი ამბების შემდეგ, მანამდე კი პუშკაშს რამდენიმე ბრწყინვალე საფეხბურთო სეზონი ელოდა, რომლებმაც მისი სახელი, შეიძლება ითქვას, მთელს მსოფლიოს შემოატარეს.

ფოტო „ლელოს“ არქივიდან

ასე უტევდა კარს ფერენც პუშკაში.

ბევრი, ძალზე ბევრი მატჩი ჩაუტარებია ამ დიდებულ ფეხბურთელს, მაგრამ აქ, გარდა ზემოაღნიშნული შეხვედრისა „უემბლიზე“, მხოლოდ ოთხი გვინდა ვახსენოთ. ერთი მათგანია ფინალური მატჩი ოლიმპიურ ჰელსინკში (XV თამაშები, 1952 წელი). უნგრელებმა დამაჯერებლად სძლიეს იტალიელებს (3:0), შვედებს (6:0), გადამწყვეტ შეხვედრაში კი საბჭოთა ნაკრების „დამჩაგვრელებს“ — იუგოსლაველებს შეხვდნენ ჰელსინკის მთავარ სტადიონზე. 40 ათასი მაყურებელი მოწმე გახდა ძალზე საინტერესო ფინალური ბრძოლისა, რომელშიც უნგრელებმა დიდი ოსტატობა და იშვიათი ნებისყოფა გამოავლინეს. ამ მატჩში მეტად საგულისხმო ამბავი მოხდა, რომელიც პუშკაშს ნამდვილ რაინდად ახასიათებს. 35-ე წუთი მიმდინარეობდა, როდესაც პუშკაშმა მშვენივრად გაიყვანა დამაგვირგვინებელ დარტყმაზე მარჯვენა შუამარბი კოჩიში. იგი შევიდა საჯარიმოში, ერთი-ერთზე დარჩა მეკარე ბეარასთან, მოემზადა კარში დარტყმისათვის და... ამ დროს ერთ-ერთმა მცველმა სწრაფ ნახტომში უხეშად წააქცია იგი. ცნობილი ინგლისელი არბიტრი არტურ ელისი 11-მეტრიანზე მიუთითებს, იუგოსლაველები არ ეთანხმებიან მსაჯს. გუნდის კაპიტანი ზლატკო ჩაიკოვსკი (შეგახსენებთ, რომ მან 1946 წელს ბელგრადის „პარტიზანის“ შემადგენლობაში ითამაშა თბილისში ჩვენი „დინამოს“ წინააღმდეგ) რაღაცას ენერგიულად უხსნის დარტყმისათვის მომზადებულ პუშკაშს. არ ვიცით, რას ეუბნება და რა პასუხს ისმენს იგი კოლეგისაგან, მაგრამ... მსაჯის სასტვენის შემდეგ პუშკაში, რომელიც ყუმბარისებური დარტყმით გამოირჩევა მუდამ, ამჯერად თითქმის გამორბენის გარეშე, სუსტად ურტყამს ბურთს, მეკარე იოლად ეუფლება მას. ჩაიკოვსკი გარბის პუშკაშისაკენ და ხელს ართმევს მაგრად. შესვენების შემდეგ უპირატესობა მთლიანად უნგრელების მხარესაა — ტექნიკური, ტაქტიკური თუ ტერიტორიული. იუგოსლაველები ყრუ დაცვაში გადადიან. გოლი კი არა და არ ჩანს. თამაშის დამთავრებამდე 20 წუთით ადრე „მოუსვენარი“ პუშკაში ბრწყინვალედ ატყუებს თავის მეურვეს და პირისპირ გადის მეკარესთან. ბეარა თავგანწირულად ხტება, მაგრამ უნგრელთა კაპიტანი დინჯად უვლის გვერდს მეკარეს და ცარიელ კარში გააქვს ბურთი. ფინალურ სასტვენამდე ორი წუთით ადრე იუგოსლაველთა საჯარიმოში მწვავე სიტუაციის შემდეგ ციბორს მძლავრი დარტყმით გააქვს მეორე გოლი. უნგრეთის „დიდი გუნდი“ ოლიმპიური ჩემპიონია!

მეორე მატჩიც ლონდონის „უემბლიზე“ გაიმართა. უფრო ადრე — 1953 წლის 25 ნოემბერს. თითქოს რიგითი, არაფრით გამორჩეული შეხვედრა იყო, მით უფრო არაოფიციალური, ამხანაგური, მაგრამ იგი უდიდეს, № 1 საფეხბურთო სენსაციად მიიჩნიეს. საქმე ისაა, რომ ინგლისის ნაკრებმა მთელი თავისი არსებობის მანძილზე პირველი დამარცხება განიცადა საკუთარ მინდორზე — 3:6. ყოველივე ამით როდი დამთავრდა: ერთი წლის შემდეგ — 1954 წლის 23 მაისს — ბუდაპეშტის „ნეპშტადიონზე“ გაიმართა მატჩ-რევანში, რომელშიც უნგრელებმა კიდევ უფრო სასტიკი მარცხი მიაყენეს ფეხბურთის მამამთავრებს — 7:1. პუშკაშის გუნდი ამიერიდან დიდად ანგარიშგასაწევი გახდა მსოფლიოს ფეხბურთში!

ფოტო „ლელოს“ არქივიდან

უნგრეთის ნაკრები — ჰელსინკის ოლიმპიადის ჩემპიონი: ლანტოში, პალოტაში, ციბორი, ბოჟიკი, ლორანტი, ზაკარიაში, გროშიჩი, კოჩიში, ჰიდეგკუტი, პუშკაში (კაპიტანი) და ბუზანსკი.

ბოლო მატჩი, რომლის შესახებ გვინდა გიამბოთ, მსოფლიოს 1954 წლის ჩემპიონატზე გაიმართა შვეიცარიაში. იგი ფაქტიურად „ორი რაუნდისაგან“, ანუ გფრ-ის გუნდთან ორი შეხვედრისაგან შედგებოდა. ტურნირის დაწყების წინ ცოტას თუ ეპარებოდა ეჭვი იმაში, რომ ჩემპიონები უნგრელები გახდებოდნენ. თავად განსაჯეთ: ჩემპიონატზე ჩამოსვლამდე უნგრეთის ნაკრებმა 31 თამაში ჩაატარა დაუმარცხებლად — 27 მოიგო, ოთხი ფრედ დაამთავრა! სპეციალისტები კიდევ უფრო განმტკიცდნენ პროგნოზში, როდესაც უნგრელებმა თავიანთ ჯგუფში, ზედიზედ იოლად დაამარცხეს სამხრეთკორეელები (9:0), გფრ (8:3), მერე მოუგეს ბრაზილიას და ურუგვაის (ერთნაირი ანგარიშით 4:2) და ფინალში გავიდნენ. აქ მათი მეტოქენი კვლავ დასავლეთგერმანელი ფეხბურთელები იყვნენ. პუშკაშის გუნდს ყველანი წინასწარ ულოცავდნენ წარმატებას, აბა ვინ იფიქრებდა, რომ „ძველ მელად“ წოდებული გერმანელთა მწვრთნელი ზეპ ჰერბერგერი ასე სასტიკად მოატყუებდა მასზე არანაკლებად გამოცდილ გუსტავ შებეშს. თურმე, ნუ იტყვით და, გერმანელებმა პირველ მატჩში უნგრელებთან... ფაქტიურად სათადარიგო შემადგენლობა გამოიყვანეს (8 „სუსტი“ ფეხბურთელი), ამასთან ნახევარი ძალით ითამაშეს და აკი 8 ბურთიც გაუშვეს (კარსაც გამოცდილი ტურეკის ნაცვლად იცავდა მისი „დუბლიორი“ კვიატკოვსკი). ყოველივე ამას ისიც დაემატა, რომ მეტოქის ცენტრალურმა მცველმა ლიბრიჰმა თამაშის დროს მძიმედ დააშავა პუშკაში და ფაქტიურად გამოთიშა ტურნირიდან. ფინალური მატჩი 3 ივლისს გაიმართა ქალაქ ბერნში. ახლა ზ. ჰერბერგერმა, ცხადია, „ნამდვილი“ შემადგენლობა გამოიყვანა. ტრავმირებულმა პუშკაშმა უკვე მე-6 წუთზე გახსნა ანგარიში, ორი წუთის შემდეგ კი ციბორმა მეორე გოლი გაიტანა. მაგრამ მეტოქემ სულ მალე აღადგინა წონასწორობა: მორლოკმა (მე-10 წ.) და რანმა (მე-18 წ.). ბედმა თითქოს ზურგი აქცია ძლიერს — უნგრელებმა ვერ გამოიყენეს ბარე ათიოდე საგოლე მომენტი. თამაშის დამთავრებამდე ოთხი წუთით ადრე იმავე რანმა გადამწყვეტი ბურთი გაიტანა გროშიჩის კარში და დასავლეთ გერმანიის ნაკრები მსოფლიო ჩემპიონი გახდა. ფიფამ სპეციალური მემორანდუმი გამოუშვა, სადაც სიტყვასიტყვით ეწერა: „...გფრ-ის ფეხბურთელებმა დამსახურებულად გაიმარჯვეს, მაგრამ ჩემპიონატის საუკეთესო გუნდი უდავოდ უნგრეთის ნაკრები იყო“. დაუმატეთ ამას მსოფლიოს 1934 და 1938 წლების ჩემპიონების — იტალიელთა მთავარი მწვრთნელის ვიტორიო პოცოს გამონათქვამი: „უნგრელები, ჩემი აზრით, მოიგებდნენ ამ მატჩს, პუშკაში რომ ყოფილიყო ჩვეულ ფორმაში“!

რომ იტყვიან, ბურთი მრგვალია! უნგრელებს ისღა ამშვიდებდათ, რომ მათი თავდამსხმელი შანდორ კოჩიში 11 ბურთით ჩემპიონატის მთავარი ბომბარდირი გახდა (მის თანაგუნდელებს პუშკაშსა და ჰიდეგკუტს — ოთხ-ოთხი გოლი ჰქონდათ გატანილი). გარდა ამისა, მსოფლიოს სიმბოლურ ნაკრებში შეიყვანეს ერთდროულად 6 უნგრელი ფეხბურთელი: მეკარე გროშიჩი, ნახევარმცველი ბოჟიკი, თავდამსხმელები ციბორი, კოჩიში, ჰიდეგკუტი და პუშკაში.

...დიახ, მეკარეთა რისხვამ, უნგრეთის ყველა დროის № 1 ფეხბურთელმა, ტრიბუნების ნამდვილმა კერპმა ფერენც პუშკაშმა 1956 წლის იმ სისხლიან დღეებში გულისტკივილით დატოვა სამშობლო და ესპანეთს მიაშურა: იგი ალფრედო დი სტეფანოს მშობლიურმა კლუბმა — „რეალ-მადრიდმა“ მიიწვია სიხარულით. 33 წლის პუშკაშმა ახალი გუნდის შემადგენლობაში ევროპის ჩემპიონთა თასი მოიპოვა — „რეალმა“ ფინალში გლაზგოს „ჰემპდენ-პარკის“ სახელგანთქმულ სტადიონზე დიდი ანგარიშით 7:3 სძლია ფრანკფურტის „აინტრახტს“. ოთხი გოლი პუშკაშმა გაიტანა, როგორც ამბობენ ოთხივე მარცხენა ფეხით. მაგრამ, მოგეხსენებათ, გამარჯვებას სპორტში დამარცხებაც ახლავს და საერთოდ ყველაფერს თავისი დასასრული აქვს. 1962 წელს პუშკაშმა 35 წლის ასაკში ითამაშა ლისაბონის „ბენფიკას“ წინააღმდეგ. პორტუგალიელებმა მადრიდელთა დიდებულ კლუბს სასტიკი მარცხი აგემეს — 5 გოლი გაიტანეს. იმ დღეს ფაქტიურად დამთავრდა უნგრული ფეხბურთის სიამაყის აქტიური საფეხბურთო კარიერა. მან მწვრთნელობასა და მენეჯერობას მიჰყო ხელი და აკი კიდევაც მიიყვანა საბერძნეთის „პანათინაიკოსი“ ევროპის თასის ნახევარფინალამდე...

ოთარ ნოზაძე

ჩემპიონატები, მატჩები...

რომი. იტალიის ჩემპიონატის მორიგ ტურში „მილანმა" ანგარიშით 2:0 დაამარცხა „ანკონა", ამასთან, ორივე ბურთი გაიტანა ცნობილმა ფრანგმა ფეხბურთელმა ჟან-პიერ პაპენმა. ტურის სხვა შედეგები: „ატალანტა" — „ბრეშია" 1:1, „ფოჯა" — „იუვენტუსი" 2:1, „ჯენოა" — „ნაპოლი" 2:1, „ლაციო"— „ინტერი" 3:1, „პარმა" — „ფიორენტინა" 1:1, „პესკარა" — „სამპდორია" 2:2, „ტორინო" — „რომა" 0:0, „უდინეზე" — „კალიარი" 2:1.

12 მატჩის შემდეგ 21 ქულით ლიდერობს „მილანი". 15-15 ქულა მოაგროვეს (13 შეხვედრიდან) „ფიორენტინამ", „ტორინომ" და „ინტერმა".

ბრიუსელი. ბელგიის საფეხბურთო ჩემპიონატის სათავეში „ანდერლეხტი", რომელმაც XVI ტურში ფრედ ითამაშა „ბრიუგესთან" (0:0) და 27 ქულა მოაგროვა. მეორე ადგილზეა „სტანდარდი", ამ კლუბმა შინ მოუგო „ლიერსს" — 4:0 და 24 ქულა აქვს. მესამე-მეოთხე ადგილებზე 20-20 ქულით არიან „მეჰელენი" და „ვარეგემი".

ტურის სხვა შედეგები: „ანტვერპენი" — „ეკერენი" 2:1, „შარლერუა" — „გენტი" 1:0, „ლომელი" — „ვარეგემი" 2:2, „მეჰელენი" — „ლიეჟი" 3:0, „ბომი" „გენტი" 1:1, „მოლენბეკი" — „სერკლი" 4:2, „ლოკერენი" — „ბევერენი" 2:2.

მადრიდი. ესპანეთის ჩემპიონატში 14 ტურის შემდეგ დაწინაურდა ორი კლუბი — „დეპორტივო" და „ბარსელონა", რომლებსაც 21-21 ქულა აქვთ, თუმცა „ბარსელონას" მარაგში ერთი თამაში აქვს. მესამე ადგილზეა მადრიდის „რეალი", რომელმაც შინ დაამარცხა „სელტა" — 1:0 და ახლა ერთი ქულით ჩამორჩება ლიდერებს.

სხვა მატჩები: „სპორტინგი" — „ესპანიოლი" 1:1, „ბურგოსი" — „კადისი" 0:2, „ალბასეტე" — „სარაგოსა" 1:3, „დეპორტივო" — „ატლეტიკო" 3:0, „ვალენსია" — „ლოგრონესი" 2:1, „ტენერიფე" — „რიო ვალეკანო" 4:0, „ოსასუნა" — „ატლეტიკო" 1:0, „რეალ სოსიედადი" — „სევილია" 1:0.

ლისაბონი. 13 ტურის შემდეგ პორტუგალიის ჩემპიონატში კვლავინდებურად წინაა „პორტო", რომელმაც სტუმრად დაამარცხა „გიმარაეში" — 3:1 და 24 ქულას მოუყარა თავი. „პორტოს" 5 ქულით ჩამორჩება „სპორტინგი", მან ფრედ ითამაშა „ეშტორილთან" — 2:2. მესამე ადგილზეა ცნობილი „ბენფიკა", რომელმაც „მარიტიმოსთან" ფრედ ითამაშა — 1:1.

სხვა შედეგები: „სალგეიროსი" „ფამალიკაო" 0:2, „ტირსენსე" „ბრაგა" 2:1, „პასოსი" — „ესპინიო" 2:2, „ბელენენსეში" — „ფარენსე" 1:1, „ბეირამარი" — „ბოავიშტა" 0:2, „ჟილ ვისენტე" — „შავიში" 5:2.

• • •

● **მეხიკო.** არგენტინელმა სეზარ ლუის მენოტიმ განცხადებით მიმართა მექსიკის ფეხბურთის ფედერაციას ქვეყნის ნაკრების უფროსი მწვრთნელის პოსტიდან განთავისუფლების თაობაზე. მან ეს იმით ახსნა, რომ, ეროვნული ფედერაცია ნაკრებს სათანადო ყურადღებას არ აქცევს.

არგენტინელი სპეციალისტი მექსიკის ნაკრებთან 1991 წლის აგვისტოდან მუშაობს. ამ ხნის განმავლობაში მექსიკელებმა 6 საერთაშორისო მატჩი გამართეს, 4 მოიგეს, 1 ფრედ დაამთავრეს და 1 წააგეს, გარდა ამისა, მექსიკის გუნდი მომავალი მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის მესამე წრეში გავიდა.

● **ოსნაბრიუკი.** ესპანეთის ახალგაზრდულმა ნაკრებმა (ფეხბურთელთა ასაკი 21 წლამდე) ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში აქ დაამარცხა გერმანიის გუნდი — 2:1. მე-3 ჯგუფში 3 მატჩში 5 ქულით ესპანელები ლიდერობენ.

მაკინროუ მორცხვია და არა ქედმაღალი

80-იანი წლების გამოჩენილი ჩოგბურთელი ჯონ მაკინროუ, რომ იტყვიან, „ბრძოლით იხევს უკან". იგი კვლავ ბევრ ასპარეზობაში მონაწილეობს. რა ვუყოთ, რომ შედეგები უწინდელივით ბრწყინვალე აღარ არის. ამას წინათ მაკინროუმ განაცხადა, რომ გაისიდან აღარ გამოვა დიდ ტურნირებში.

გთავაზობთ რამდენიმე საყურადღებო ნაწყვეტს ჯონ მაკინროუს ერთ-ერთი ბოლო ინტერვიუდან.

● **რატომ არ გიყვართ ურთიერთობა ჟურნალისტებთან?**

— არ მსიამოვნებს ჩემი შინაგანი სამყაროს „გახსნა".

● **მორცხვი ხართ?**

— დიახ, და ზოგჯერ ამას ქედმაღლობაში მითვლიან.

● **როგორი ურთიერთობა გაქვთ მსაჯებთან?**

— ძალიან კარგი. თუნდაც იმიტომ, რომ ბევრმა მათგანმა, უბრალოდ რომ ვთქვათ, არ იცის თავისი საქმე.

● **პრესაზე რაღას იტყვით?**

— მხოლოდ იმ შემთხვევაში შემიძლია დავეთანხმო ჟურნალისტს, თუ სიმართლეს წერს. ძალიან მეჯავრება არაკომპეტენტური მჯღაბნელები, რომლებიც ცდილობენ ჩემპიონის ნდობა მოიპოვონ, რათა შემდეგ, რომ იტყვიან, ფული იშოვონ.

● **ხომ არ მოგეყირჭებათ ხოლმე ჩოგბურთი?**

— დიახ, ასეა ხანდახან. მწყინდება ეს ყველაფერი: ჩოგბურთი, მუდმივი მგზავრობა, სასტუმროები.

● **როგორ გრძნობთ თავს, როცა განათლებულ ადამიანებთან გიხდებათ ურთიერთობა?**

— ვცდილობ, რაიმე სისულელე არა ვთქვა.

● **ბედისა გწამთ?**

— მჯერა, რომ თითოეული ჩვენგანი თვით არის თავისი ბედის მჭედელი. არა მგონია, ვინმეს შეეძლოს „დაგეგმოს" მომავალი. ადამიანს შეუძლია თვითონ მიაღწიოს ყველაფერს, ჩოგბურთის მატჩიც მოიგოს.

● **სიკვდილისა გეშინიათ?**

—ახლა ამაზე ფიქრის დრო არა მაქვს.

● **ოცნებობდით თუ არა რაიმე კონკრეტულზე?**

— დიახ, ვოცნებობდი როკ-მომღერალი გავმხდარიყავი, დიდი აუდიტორიის წინაშე გამოვსულიყავი.

● **როგორ დაიწყეთ ჩოგბურთის თამაში?**

— შემთხვევით. ჩემს სახლთან ახლოს ჩოგბურთის რამდენიმე კორტი იყო, ნიუ-იორკის გარეუბანში გავიზარდე.

● **რას აკეთებთ თავისუფალ დროს?**

— მუსიკას ვისმენ.

● **ბედნიერი ხართ?**

— დიახ. ვფიქრობ, ჩემი ცხოვრება იღბლიანი გამოდგა.

● **რას თვლით უბედურებად?**

— როცა კორტზე ვმარცხდები. თუ გნებავთ, იმასაც, როცა ძალიან ბევრ კითხვაზე მიხდება პასუხის გაცემა.

მოამზადა **ბიძი თორელმა.**

ახალი წიგნი



„ტანვარჯიში"

ასე ეწოდება გამომცემლობა „განათლების" მიერ გამოცემულ ახალ წიგნს, რომლის ავტორია თორნიკე სანებლიძე. ნაშრომი საქართველოს რესპუბლიკის განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებულია სახელმძღვანელოდ ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის სტუდენტთათვის.

ეს სახელმძღვანელო მეორე შევსებული გამოცემაა, რომელიც სტუდენტთა გარდა დიდ დახმარებას გაუწევს ფიზკულტურისა და სპორტის დარგში მომუშავე სპეციალისტებს, საშუალო სკოლების, ტექნიკუმების, უმაღლესი სასწავლებლების ფიზაღზრდის პედაგოგებს.

წიგნში გაშუქებულია ტანვარჯიშის ფიზიკური აღზრდის სისტემის საკითხები, სპორტის ამ სახეობის ძირითადი საშუალებანი, აღსანიშნავია აქვე დასტამბული სამწყობრო და წყობითი ვარჯიშებიც.

მკითხველს, ვფიქრობთ, განსაკუთრებით დააინტერესებს ტანვარჯიშის ისტორია ანტიკური პერიოდიდან დღევანდელი დღის ჩათვლით, პირველ რიგში კი, ცალკე ქვეთავად გამოყოფილი ტანვარჯიშის განვითარების ისტორია საქართველოში (1896-1922 წ. წ.).

მისასალმებელია ნაშრომში ბავშვებთან, საშუალო, ხანშიშესული და მოხუცებულობის ასაკის ადამიანებთან ტანვარჯიშით მეცადინეობის ჩატარების თავისებურებანი. დავიწყებული არაა სატანვარჯიშო დარბაზების ტიპები, მათი ზომები, ინვენტარით აღჭურვილობაზე და სხვა საკითხები.

წიგნში, რომელიც უხვადაა ილუსტრირებული, ტანვარჯიშით დაინტერესებულნი კიდევ ბევრ საგულისხმო მასალას შეხვდებიან.

აკაკი დოკვაძე,

პროფესორი, საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის ფიზიკური კულტურისა და სპორტის მართვის კათედრის გამგე.

„შესანიშნავი ახალგაზრდა შვიდეული"

„**ფორმულა-1"-ის** თუნდაც ერთ ეტაპზე გამარჯვება პილოტს მსოფლიოს უძლიერეს ავტომობილისტთა რიცხვში აყენებს, ვინაიდან „გრან-პრის" მოგება უკვე თავისთავად დიდი მოვლენაა. სტატისტიკოსებმა შეადგინეს პილოტების „შესანიშნავი შვიდეული", რომლებსაც ადრეულ ასაკში აქვთ მოპოვებული გამარჯვება „გრან-პრიში". ესენია: 1959 წ. ბრიუს მაკლარენი (ახალი ზელანდია) — 22 წლის და 104 დღის; 1968 წ. ჟაკ იქსი (ბელგია) — 22 წლის და 187 დღის; 1992 წ. მიჰაელ შუმახერი (გერმანია) — 23 წლის და 239 დღის; 1970 წ. ემერსონ ფიტიპალდი (ბრაზილია) — 23 წლის და 296 დღის; 1953 წ. მაიკ ჰოუტორნი (დიდი ბრიტანეთი) — 24 წლის და 86 დღის; 1974 წ. ჯოდი შეკტერი (სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა) — 24 წლის და 131 დღის; 1982 წ. ელიო დე ანგელისი (ესპანეთი) — 24 წლის და 148 დღის; 1956 წ. პიტერ კოლინზი (დიდი ბრიტანეთი) — 24 წლის და 267 დღის.

ფიშერი და ციხე?

მსოფლიო ექს-ჩემპიონს, ამერიკელ რობერტ ფიშერს წაუყენეს ბრალდება იმის გამო, რომ მან ბელგრადში ბორის სპასკისთან მატჩის თამაშით არად ჩააგდო იუგოსლავიასთან ეკონომიკური, სავაჭრო და სხვა კავშირების აკრძალვა.

როგორც ცნობილია, უფრო ადრე, 21 აგვისტოს წერილით, ამერიკის ხელისუფლებმა ფიშერი გააფრთხილეს, რომ იუგოსლავიაში მატჩის თამაშით იგი არღვევდა გაეროს სანქციებს, მაგრამ ბობიმ თავისი ქვეყნის ამ გაფრთხილებას, რომ იტყვიან, მიაფურთხა.

როგორც აშშ-ის გენერალური პროკურორის წარმომადგენელმა ჯეი სტეფენსმა განაცხადა, ბრალდების წაყენებასთან ერთად გამოწერეს დიდოსტატის დაპატიმრების ორდერი. მანვე ხაზგასმით აღნიშნა, რომ ხელისუფალთა მოქმედება სიმბოლური აქტი როდია, თუმცა ისიც აღიარა, რომ ახლა ძნელია აიძულო ფიშერი სამშობლოში დაბრუნდეს.

თუ მსოფლიოს ყოფილ ჩემპიონს სასამართლო დამნაშავედ ცნობს, მას ემუქრება 10-წლიანი ციხე, 250 ათასი დოლარი ჯარიმა და იმ 3,35 მილიონი დოლარის კონფისკაცია, რომელიც ფიშერმა მიიღო სპასკისთან მატჩში გამარჯვებისთვის.

ფიშერმა, რომელიც იუგოსლავიაში იმყოფება, აშშ-ის პროკურატურის ამ გადაწყვეტილების კომენტარისგან თავი შეიკავა.

შეგნებულადაც, რადგან, როგორც იუგოსლავიის პრესა იტყობინება, იგი დათანხმდა ახალი მატჩი ითამაშოს, ამჯერად იუგოსლაველ დიდოსტატ ლიუბომირ ლიუბოევიჩთან და ახლა ამ დუელს იგივე ბიზნესმენი, ეზდიმირ ვასილიევიჩი აფინანსებს, ამ უკანასკნელის განცხადებით კი „პრიზი საკმაოდ სოლიდური იქნება". ეს მატჩი გაისად მარტში შედგება ალბათ ბელგრადსა და მადრიდში ან ლინარესში.

ბუნებრივია, იბადება კითხვა: რა ბედი ეწია უკვე საკმაოდ რეკლამირებულ ფიშერ-იუდით პოლგარის მატჩს? იგი არ ჩატარდება, ვინაიდან მხარეები ვერ შეთანხმდნენ სათამაშო პარტიათა რაოდენობაზე. სამაგიეროდ, პოლგარი დაფას მიუჯდება სპასკისთან სათამაშოდ და იგი იანვრის დამლევს დაიწყება იმავე ვასილიევიჩის მეცენატობით.

სკანდალი საბაჟოში

ეს მართლაც სკანდალი იყო, რომელმაც საკმაოდ მწვავედ გაიჟღერა და დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია მძლეოსნურ წრეებში. ამ დღეებში რუსეთის ოთხ მძლეოსანს, უფრო სწორად, მათ მწვრთნელს ლიდია ფედოტოვას, სტოკჰოლმის საბაჟოს თანამშრომლებმა ჩანთაში აღმოუჩინეს ანაბოლიური სტეროიდის 60 აბი, რომელიც საერთაშორისო ექსპერტების მიერ „შავ სიაშია" შეტანილი.

ვინ არიან ეს მძლეოსნები, რომელთათვისაც იყო განკუთვნილი ეს აკრძალული საშუალებები? საქმეც ის გახლავთ, რომ მათ კარგად იცნობენ მძლეოსნობის მოყვარულები. ერთი მათგანია მსოფლიო ჩემპიონი 100 მეტრზე რბენაში ლიუდმილა ნაროჟილენკო კრასნოდარიდან, მეორე —საშუალო მანძილებზე მორბენალი მარგარიტა პონომარიოვა, მესამე— ასევე სპრინტერი ტატიანა რეშეტნიკოვა და მეოთხე — სახელგანთქმული სერგეი ბუბკას არანაკლებ სახელგანთქმული მეტოქე როდიონ გატაულინი (სამივენი პეტერბურგის სპორტულ ორგანიზაციას წარმოადგენენ). შეჯიბრება უნდა გამართულიყო მალმიოში ადგილობრივი მძლეოსნური კლუბის ინიციატივით.

ანაბოლიური საშუალებების ამ საიდუმლო პარტიის აღმოჩენის შემდეგ ოთხივე რუსი მძლეოსნისა და მათი მწვრთნელის მიწვევა შვეციაში გაუქმდა. შერცხვენილი ოთხეული უკან პეტერბურგში გამოისტუმრეს.

უბედური შემთხვევა ცაში

საბედისწერო გადაწყვეტილება გამოდგა, მსოფლიო ექსჩემპიონი საპარაშუტო სპორტში, ამერიკელი ტომ პირასი პანამაში რომ ჩავიდა. მას კეთილი მიზნები ამოძრავებდა და ვინ იფიქრებდა, ყველაფერი ასე ტრაგიკულად რომ დამთავრდებოდა?

პანამაში და, განსაკუთრებით მის დედაქალაქში, ბოლო დროს დიდი პოპულარობა მოიპოვა საპარაშუტო სპორტმა. ქალაქში ბევრი კერძო სკოლა გაიხსნა. ახალგაზრდობა დაეწაფა ამ სპორტს და ნაწილმა წარმატებასაც მიაღწია სხვადასხვა ოფიციალურ ტურნირში, საერთაშორისო შეჯიბრებაში. პირასიც იმიტომ ჩავიდა ამ ქვეყანაში, რომ დახმარების ხელი გაეწვდინა ადგილობრივი ახალგაზრდებისთვის და საპარაშუტო აკადემია ჩამოეყალიბებინა. ეს მან, სხვათა შორის, მოახერხა კიდეც, მაგრამ...

ერთ-ერთ წვრთნაზე, როცა ექსჩემპიონი ხტომის ტექნიკას აჩვენებდა მოწაფეებს, არ გაიხსნა მისი არც ძირითადი და არც სათადარიგო პარაშუტი. ერთმა სპორტსმენმა სცადა დახმარება, მაგრამ ვერაფრით მოავლო ხელი განწირულს. ექსჩემპიონი ტრაგიკულად დაიღუპა 37 წლის ასაკში.

ჩემპიონის ტიტული უბრძოლველად

პირველი ბრძოლა კრივში მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისთვის კუინსბერის წესებით გაიმართა 1884 წლის ივლისს ნიუ-იორკის „გრეით ჯილდზში". ერთმანეთს შეხვდნენ საშუალო წონის მოკრივეები ირლანდიელი ჯეკ დემპსი (ნუ შეგვეშლება ამერიკელ ჯეკ დემპსიში) და ამერიკელი ჯორჯ ფულჯეიმსი. გაიმარჯვა დემპსიმ ნოკაუტით 22-ე რაუნდში. ორი წლით ადრე კი 7 თებერვალს, მისისიპიში მძიმე წონის ამერიკელმა მოკრივემ ჯონ სალივენმა მეცხრე რაუნდში ნოკაუტით აჯობა ინგლისელ პედი რაიანს. სალივენი მაშინ მსოფლიოს არაოფიციალურ ჩემპიონად გამოცხადდა. რაც შეეხება რაიანს, იგი უკანასკნელი ბრიტანელი მოკრივე იყო, ვინც ასეთი მაღალი ტიტულისთვის იბრძოდა.

მას შემდეგ გავიდა ზუსტად 110 წელი და ბრიტანეთის პროფესიულმა კრივმა ახალი გამარჯვება იზეიმა. ორშაბათს კრივის მსოფლიო საბჭომ ამ ქვეყნის წარმომადგენელი ლენოქს ლუისი მსოფლიო ჩემპიონად გამოაცხადა სუპერმძიმე წონაში. ეს გადაწყვეტილება მიღებულია მას შემდეგ, რაც ამერიკელმა რიდიკ ბოუმ ლონდონში უარი თქვა თავის ტიტულზე (როგორც ცნობილია ადრე ბოუმ ჩემპიონის ტიტული ევანდერ ჰოლიფილდს წაართვა).

გასულ ოქტომბერს მოკრივეთა მსოფლიო საბჭოს პრეზიდენტმა ხოსე სულეიმანმა აღნიშნა, რომ ლუისისა და რადოკის ორთაბრძოლაში გამარჯვებულს მიენიჭებოდა მსოფლიო ჩემპიონის ტიტული, თუ მეორე მატჩში (ჰოლიფილდი — ბოუ) მოგებული უარს იტყვის ბრძოლაზე. ლუისმა ნოკაუტით დაამარცხა რადოკი და გადამწყვეტი ორთაბრძოლისთვის სამზადისს შეუდგა. თავის მხრივ გამარჯვება მოიპოვა ბოუმაც. ამის შემდეგ მოსალოდნელი იყო მთავარი ბრძოლა, მაგრამ... როგორც მოკრივეთა მსოფლიო საბჭოს კომუნიკეშია ნათქვამი, ბოუმ წერილობითი პირობა დადო ლუისთან შეხვედრაზე. ასე რომ, მის გაუგებარ გადაწყვეტილებას არავითარი გამართლება არა აქვს.

მთავარი რედაქტორი

თენგიზ ბაჩეჩილაძე

საქართველოს ფარიკაობის ფედერაცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ ტრაგიკულად დაიღუპა რესპუბლიკის მრავალგზის ჩემპიონი ფარიკაობაში, სპორტის ოსტატი

მანანა დარასელია

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ჩვენი მისამართი: თბილისი, 380096, ვ. კოსტავას, 14, ☎ ტელ: 99-58-47, 99-81-71. ინდექსი 66485 INDEX ☎ დაიბეჭდა გამომცემლობა „სამშობლოს" სტამბაში.